

ალგეთის ეროვნული პარკის ლიქენების ტაქსონომიური შემადგენლობა და პრაქტიკული მნიშვნელობა

ინგა კუპრამე

ალგეთის ეროვნული პარკი ლიქენოლოგიური თვალსაზრისით შეუსწავლელი იყო. 1915-1919წ.წ. გამოქვეყნდა ვორონოვისა და შტეინერის შრომები კიონინგის, ნიკოლაევასა და სხვათა ლიქენოლოგიური კოლექციების საფუძველზე. მათ მიერ მანგლისის მიდამოებისათვის აღნიშნულია 27 სახეობა. საქართველოს ეროვნული მუზეუმის ბოტანიკის განყოფილების ჰერბარიუმში დაცულია ზედელმეიერის მიერ მანგლისის მიდამოებში შეგროვილი 5 სახეობა, რომელიც 1920 წლითადათარიღებული. ჩვენს მიერ ამ დროისათვის შექმნილი კოლექცია მოიცავს 2005-2012წ.წ. შეგროვილ მასალათა ნიმუშებს. დამუშავებული მასალის საფუძველზე გამოვლინდა ლიქენების 65 გვარის 175 სახეობა. აღსანიშნავია, რომ, მათგან სამი *Flavopunctelia flaventior*, *Hypotrachyna revoluta*, *Hypotrachyna sinuosa*, საქართველოს ლიქენოფლორისთვის ახალი აღმოჩნდა.

სახეობრივი სიმრავლით ეპიფიტური ლიქენები გამოირჩევიან. მეტად მრავალფეროვანია ეპილითური ლიქენების ჯგუფი. სახეობათა ყველაზე ნაკლები რაოდენობითაა წარმოდგენილი ეპიგეური ლიქენები. ალგეთის ეროვნული პარკის ლიქენოფლორა არ არის ერთფეროვანი. აქ არსებული სახეობების უმრავლესობა ფართო გავრცელებისაა და მიეკუთვნება მულტირეგიონალურ ელემენტს.

მნიშვნელოვანია ლიქენების როლი როგორც ზოგადად ბუნებაში, ასევე ადამიანების ცხოვრებაში. ისინი თავიანთი ბიოლოგიური თავისებურებების გამო წარმოადგენენ ერთ-ერთ საუკეთესო ბიოინდიკატორს. ლიქენოინდიკაციური მეთოდი წარმატებით გამოიყენება ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ხარისხის განსასაზღვრად. აღსანიშნავია ლიქენების საკვებ მცენარედ გამოყენება. ისინი წარმოადგენენ ჩრდილოეთის ირმების, და არა მხოლოდ მათ, მთავარ საკვებს, განსაკუთრებით ზამთარში, რადგანაც მცენარეთა ამ ჯგუფს სეზონურობა არ ახასიათებთ. ლიქენების პრაქტიკული გამოყენების ერთ-ერთი სფერო მედიცინაა. ცნობილია, რომ შუა საუკუნეებში, მათგან დამზადებული წამლები საკმაოდ ფართოდ გამოიყენებოდა როგორც სტიმულატორები, ორგანიზმის ტონუსის ამწევი საშუალება ან როგორც ანტიბიოტიკი. ლიქენის მჟავები შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს ფიტოპათოლოგიაში. მათ პრაქტიკული გამოყენების თვალსაზრისით გააჩნიათ სხვა საინტერესო თვისებებიც. ისინი ფართოდ გამოიყენებიან პარფიუმერულ მრეწველობაში სუნის ფიქსაციისათვის, სამღებრო საქმეში მდგრადი საღებავების მისაღებად და სხვ.